



საარჩევნო სიახლენი

(30 აპრილი- 8 მაისი)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (შემდეგში „სამართლიანი არჩევნები“) აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ მესამე გამოშვებაში წარმოგიდგენთ 2008 წლის, 8 მაისისთვის არსებულ მონაცემებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

წინასაარჩევნო პერიოდში „სამართლიანი არჩევნები“ აკვირდება საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის პროცესს, როგორც ცენტრალური, ისე საოლქო და საუბნო კომისიების დონეზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონიტორინგის შედეგები

კანონით დადგენილ დღეს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 21 დღისა¹, 30 აპრილს რეგისტრაცია გაიარეს ამომრჩევლებმა, სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით. ჯერჯერობით ზუსტი რაოდენობა სპეციალურ სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა დადგენილი არ არის, რადგან მიმდინარეობს ამ ამომრჩეველთა გადამოწმება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს მისცა 3 დღიანი ვადა პარტიულ სიებსა და წარმომადგენელთა საბუთებში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. კანონით დადგენილ ვადაში, არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-20 დღისა², 1 მაისს ყველა არჩევნებში მონაწილე სუბიექტმა შეიტანა ცესკო-ში შესწორებული პარტიული/კანდიდატთა სიები.

მონიტორინგის პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა ექვს ადგილობრივ ორგანიზაციას - კავშირი "ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო ცენტრი", კავშირი "ქალთა

¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდეგში საარჩევნო კოდექსი), მუხლი 10, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“;

² საარჩევნო კოდექსი, მუხლი 98, პუნქტი 3.



სამართლიანი არჩევნები

პოლიტიკური რესურს ცენტრი”, „საქართველოში დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი”, კავშირი "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის", კავშირი "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი", ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი "ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო ლიგა" კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი"; იმერეთის რეგიონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „საჩინო“.

ამავე პერიოდში რეგისტრაცია გაიარა ხუთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ - "ევროკავშირის სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი", "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოება" – IGF, "ჩეხეთის სახელმწიფო საარჩევნო კომიტეტი", "იტალიის საელჩო საქართველოში", "ლიტვის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში", "ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო". 8 მაისისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული იყო სულ 30 ადგილობრივი და 11 საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია.

1 მაისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის დაამტკიცა კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები (პროპორციული და მაჟორიტარული).

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-20 დღისა³, 1 მაისს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში 6-6 წევრი აირჩია. ამავე დღეს ცესკო-მ მიიღო სხვა სახელმწიფოში მყოფ ამომრჩეველთა სიები. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული სიების დამუშავება და სიებში არსებული უზუსტობების გასწორება.

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დაცვით, კერძოდ არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-17 დღისა⁴, 4 მაისს ჩატარდა პირველი საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომები, საზღვარგარეთის უბნებში.

5 მაისის სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის ვადა 3 დღით გაახანგრძლივა და ბოლო თარიღი 8 მაისით განისაზღვრა. "სამართლიანი არჩევნები" მიესალმება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამ გადაწყვეტილებას, რადგან ვადის გაგრძელებით კიდევ უფრო მეტ ამომრჩეველს მიეცა საშუალება, გადაემოწმებინა თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ეს კი თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამომრჩეველთა სიების საბოლოოდ დახვეწის პროცესში.

³ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 37, პუნქტი 2;

⁴ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 4.



6 მაისს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა ბროშურა საჯარო მოხელეთათვის, რომელიც მოიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების წესებს. „სამართლიანი არჩევნები“ მიესალმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამ ინიციატივას. ამასთანავე, დადებითად აფასებს ცესკო-ს მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის ეთნიკური უმცირესობების ენებზე (რუსულ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ) თარგმნას.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს უტარდებოდათ ტრენინგები საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის მუშაობის მეთოდუკასა და პრინციპებზე, საარჩევნო პროცედურებზე, საარჩევნო სიებსა და მასზე მუშაობის მეთოდუკაზე, არჩევნების დღის პროცედურებზე, ოქმებსა და საჩივრების განხილვაზე.

ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ჯერ არ ჩატარებიათ # 79 ბათუმის, # ქობულეთისა და # 70 ფოთის საარჩევნო ოლქებში, ხოლო # 37 ახალციხის, # 12 გურჯაანისა და # 26 თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიებში ტრენინგები ამჟამად მიმდინარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ტრენინგები ჯერ არ დასრულებულა # 15 ლაგოდეხის, # 32 გორის, # 35 ხაშურის, # 37 ახალციხის, # 38 ადიგენისა და # 85 ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიაში. აღსანიშნავია, რომ ჩატარებულ ტრენინგებს არ ესწრებოდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა წევრი.

აღნიშნულ პერიოდში სხდომები არ ჩატარებულა # 6 სამგორის, # 10 გლდანის, # 30 კასპის, # 33 ქარელისა და # 85 ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

13 სიღნაღის საარჩევნო ოლქში, საუბნო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი წევრი კვლავაც განაგრძობს საჯარო სამსახურში მუშაობას. (საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი). საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, კომისიის წევრებს არა აქვთ უფლება იმავდროულად იყვნენ სხვა საქმიანობით დაკავებული, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა⁵.

⁵ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 18, პუნქტი 5, 5¹, 6;



წინასაარჩევნო კამპანია

ანგარიშგების პერიოდში მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრების გამართვის კუთხით ყველაზე მეტად აქტიურობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაერთიანებული ოპოზიცია, რესპუბლიკური პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული პარტია. # 1 მთაწმინდის, # 2 ვაკის, # 8 დიდუბის, # 9 ნაძალადევის, # 21 გარდაბნის, # 25 წალკის, # 26 თეთრიწყაროს, # 33 ქარელის საარჩევნო ოლქებში არცერთი პოლიტიკური პარტიის აქტივობა ამომრჩევლებთან შეხვედრის მხრივ არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში დაფიქსირდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტები:

29 აპრილს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის მაჟორიტარი კანდიდატი, ვალერი გიორგობიანი შეხვდა # 45 ცაგერის საარჩევნო ოლქის, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებს. შეხვედრა გაიმართა გამგეობის სხდომათა დარბაზში, სადაც მაჟორიტარმა კანდიდატმა დამსწრე საზოგადოებას მოსთხოვა საპარლამენტო არჩევნებში მხარი დაეჭირათ ნაციონალური მოძრაობისთვის⁶, უარის შემთხვევაში კი მათ სამსახურის დატოვებით დაემუქრა. შეხვედრაზე კანდიდატის საუბარი ჩაიწერა ერთ-ერთმა მოქალაქემ, რის შემდეგაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ აღნიშნული ფარული ჩანაწერები ტელევიზიებით გაავრცელა. ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარმა კანდიდატმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, რათა არ მომხდარიყო პარტიის პრესტიჟის შელახვა (როგორც ეს თავად აღნიშნა), თუმცა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისგან მოითხოვა, ფაქტის დეტალური შესწავლა და ფარული ჩანაწერის უტყუარობის დამტკიცება. „სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული მაჟორიტარი კანდიდატი, ყოველივე მომხდარის შემდეგ აღარ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში. ორგანიზაცია მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, დროულად განახორციელონ შესაბამისი მოკვლევა ზემოთხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით.

30 აპრილს, # 84 ხულოს საარჩევნო ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ხელმოწერებს აკეთებინებდნენ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც არიან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები. ამასთან აქტივისტები მოსახლეობისაგან მოითხოვდნენ ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერას საპარლამენტო არჩევნებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ახლობლების სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. კერძოდ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ ადამიანს დაემუქრნენ ოჯახის წევრის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებით, თუ

⁶ვალერი გიორგობიანის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობას ოლქში უნდა მიეღო ხმების 80 %.



სამართლიანი არჩევნები

აღნიშნული პიროვნება ოპოზიციურ პარტიაში დასაქმდებოდა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა **# 55 ხონის** საარჩევნო ოლქშიც.

აღნიშნულ პერიოდში, პირები, რომლებიც ამომრჩევლებს თავს აცნობდნენ როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, დადიოდნენ **# 30 კასპის** საარჩევნო ოლქში და იწერდნენ მოსახლეობის პირადობის ნომრებს, ამასთან აწარმოებდნენ გამოკითხვას თუ ვის უჭერდა მოსახლეობა მხარს.

12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები სპეციალურ ფორმაში ინიშნავდნენ ამომრჩეველთა პირადობის მოწმობების ნომრებს და მოქალაქეებს ხელს აწერინებდნენ. ხოლო იმ ამომრჩევლებს რომლებიც არ აწერდნენ ხელს, ამომრჩეველთა სიიდან ამოღებით ემუქრებოდნენ.

17 თელავის საარჩევნო ოლქში, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატი გაია არსენიშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იღებდა მონაწილეობას სოფლებისათვის მუნიციპალური ავტობუსების გადაცემაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ ლიბერალურია, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ზემოთხსენებული ფაქტი არათანაბარ პირობებში აყენებს არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტებს, რომელთაც არ ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მსგავს ღონისძიებებში.

44 ამბროლაურის საარჩევნო ოლქში, კერძოდ სოფელ ჩორჯოს სკოლაში მოსწავლეებს დაურიგდათ ბურთები და სპორტული ფორმები, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატის გოჩა ენუქიძის სახელით. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა საკრებულოს წევრი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი.

ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტი დაფიქსირდა **# 49 თერჯოლის** საარჩევნო ოლქში, სადაც რესპუბლიკური პარტიის შტაბის ხელმძღვანელის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები (კერძოდ, ლაშა ზედაშიძე, იმერეთის ფინანსური პოლიციის ოპერატიული მუშაკი, ყოფილი გამგებელი) ინტერესდებიან ყველა იმ პიროვნებით, ვისთანაც პარტიას აქვს ურთიერთობა. ამასთან, მხარდამჭერებს აფრთხილებდნენ მხარი არ დაეჭირათ რესპუბლიკური პარტიისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის წევრების სამსახურიდან გაშვებით ემუქრებოდნენ.

1 მაისს, **# 32 გორის** საარჩევნო ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა - გიგი წერეთელმა, კობა სუბელიანმა და დავით ბაქრაძემ შეხვედრა გამართეს

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

მოქალაქეებთან, რომელსაც ესწრებოდნენ საჯარო სკოლის პედაგოგებიც. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეხვედრის გამო, რამოდენიმე სკოლაში ჩაიშალა სასწავლო პროცესი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოსწავლეთა მშობლების უკმაყოფილება. პედაგოგებს ასევე პრობლემები შეექმნათ, **# 44 ამბროლაურის** საარჩევნო ოლქში, სადაც ისინი მკაცრად არიან გაფრთხილებულნი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, თავი შეიკავონ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობისაგან.

55 ხონის საარჩევნო ოლქში, პირები, რომლებიც თავს ასახელებდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებად, აიძულებდნენ მცირე მეწარმეებს (მაღაზიების, სათამაშო ბიზნესის, ბენზინგასამართი სადგურებისა და შპს მფლობელებს) დასაქმებულიყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიებში, უარის შემთხვევაში კი ბიზნესის დაკარგვით ემუქრებოდნენ.

85 ლიახვის საარჩევნო ოლქში, მემარჯვენეების მაჟორიტარი კანდიდატის გოგა ოქროპოროძის განცხადებით მას საშუალება არ ეძლეოდა დაუბრკოლებლად ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია, რადგან დიდი ლიახვის სოფლებში ჩასვლის დროს მის ავტომობილს თან დაყვებოდა ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და საკრებულოს სხვა თანამშრომლები და აუკრძალეს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება. კანდიდატის განცხადებით მას ასევე დაყვებოდა პოლიციის უფროსი და თანამშრომლები.

მოსახლეობასთან შეხვედრების პრობლემა შეექმნა გაერთიანებულ ოპოზიციას **# 44 ამბროლაურის** საარჩევნო ოლქის სოფლებში, ბოსტანასა და ველევში. პირველ შემთხვევაში, გაერთიანებულ ოპოზიციას არ მიეცა ამინდის გაუარესების შემდეგ საშუალება მოსახლეობას შეხვედროდა სკოლაში, რადგანაც რესურსცენტრის ხელმძღვანელმა უარი განაცხადა სკოლის შენობის დათმობაზე. აქვე აღნიშნავთ, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, სოფელ ბოსტანას სკოლაში, არცერთ სხვა პოლიტიკურ პარტიას არ ჩაუტარებიათ შეხვედრა. მეორე შემთხვევაში, სოფლის რწმუნებულისგან მკაცრად გაფრთხილებული მოსახლეობა არ შეხვდა, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, ოფისის ქირავნობასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნა საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ - ს მაჟორიტარ კანდიდატს, **# 85 ლიახვის** საარჩევნო ოლქში.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, კერძოდ 4 მაისს, ოპოზიციური პარტიების სხვადასხვა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლმა აქცია გამართეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ლევან

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

თარხნიშვილის საცხოვრებელი სახლთან. აქციას მოჰყვა დაპირისპირება ლევან თარხნიშვილის მეზობლებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რომლის შედეგადაც დაზარალდა რამოდენიმე ახალგაზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებულია სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხოლო კონკრეტული პიროვნების საცხოვრებელი ადგილი არ ითვლება აქციის მოსაწყობად აკრძალულ ადგილად, „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის აქციის გამართვა კონკრეტული ადამიანის საცხოვრებელი ადგილის წინ არ არის გამართლებული. ორგანიზაციის აზრით, აუცილებელია პროფესიული საქმიანობა და პირადი ცხოვრება გამიჯნულ იქნას ერთმანეთისაგან.

ამასთან, „სამართლიანი არჩევნები“ მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს სათანადოდ გამოიძიონ კონკრეტული ფაქტი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, რომლის შედეგებს პერიოდულად გაცნობს საზოგადოებას.

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge